განცხადება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
სამეცნიერო სტრუქტურული ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **შთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. **შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერ თანამშრომლისათვის დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი"-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით" მე-10 მუხლით.

3. **კონკურსი ცხადდება** შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად:

   - **ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელი.**

4. **კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:**
   საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით, მთავარი მეცნიერ თანამშრომლისთვის (ათი წლის ვადით) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს:

   ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ათი წლის ვადით) - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით,

უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ ნაშრომებსაც). ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის, არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

ბ) **უფროსი მეცნიერ თანამშრომელი** (7 წლის ვადით**)** - დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს ბოლო 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ ორი რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება.

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი / პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და, არსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ;

ვ) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტები (ცნობა / შრომის წიგნაკის ასლი /სხვა);

ზ) განყოფილების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულების პროექტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე, განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

ზ) ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში“ ნასამართლეობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ 32

მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

5.2. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

5.3. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსში მონაწილეობის მსურველს ეძლევა განაცხადის განმეორებით წარმოდგენის ვადა, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების /დოკუმენტაციის/ მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღისა.

5.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ 5.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

6. კონკურსი გამოცხადდეს **2025 წლის 17 ოქტომბერს.** საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს **2025 03 ნოემბრიდან 07 ნოემბრის ჩათვლით,** 11-დან 18 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №5, ინსტიტუტის კანცელარია.

   ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზწ საბჭოს მიერ არჩეული პირის დამტკიცების შესახებ ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაცია არა უგვიანეს 2025 წლის 20 ნოემბრისა.